ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

27/08/2018

2557-25-4-201808271458

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 2557

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის ბოტანიკური ბაღი"-ს წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 106[1] მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის ბოტანიკური ბაღი"-ს (ს/კ №245615963) თანდართული წესდება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 03 სექტემბრის №660 ბრძანებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ბათუმის ბოტანიკური ბაღი"-ს წესდება.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის ბოტანიკური ბაღი"-ს დირექტორს (ირაკლი არჩაია, პირადი ნომერი 61001017875) დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაცია.

4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

„დამტკიცებულია“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2018 წლის 27 აგვისტოს
№2557 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს

წ ე ს დ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სახელწოდება და იურიდიული მისამართი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბათუმის ბოტანიკური ბაღი" არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა: „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბათუმის ბოტანიკური ბაღი” (შემდგომში „ბოტანიკური ბაღი“).

3. „ბოტანიკური ბაღის“ საერთაშორისო კოდია „BATU“, ხოლო საერთაშორისო აღმნიშვნელი აბრევიატურა „BBG“.

4. „ბოტანიკური ბაღის“ დამფუძნებელია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი.

5. „ბოტანიკური ბაღის“ იურიდიული მისამართია: ქალაქი ბათუმი, დასახლება მწვანე კონცხი.

6. „ბოტანიკური ბაღის“ ელექტრონული მისამართია: info@bbg.ge

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. „ბოტანიკური ბაღი" - სამეცნიერო, საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიზნებისათვის გამოყენებადი დოკუმენტირებულ ცოცხალ მცენარეთა კოლექცია.

2. ფლორა - რაიმე ადგილის ან გეოლოგიური პერიოდის მცენარეთა ყველა სახეობის ერთობლიობა.

3. ადგილობრივი ფლორა - კონკრეტული ტერიტორიის ან გეოლოგიური პერიოდის ველურად მოზარდი მცენარეთა სახეობების ერთობლიობა.

4. ფაუნა - კონკრეტული ტერიტორიის ან გეოლოგიური პერიოდის ცხოველთა ყველა სახეობის ერთობლიობა.

5. კონსერვაცია - საქმიანობის ფართო სპექტრი, რომელიც მიმართულია მცენარეთა და ცხოველთა სახეობების გადაშენების თავიდან ასაცილებლად. იგი მოიცავს, როგორც უშუალოდ ველური პოპულაციების დაცვა-შენარჩუნებას, ასევე საკონსერვაციო ობიექტების მიერ მოძიებული და კოლექციების სახით წარმოდგენილი სახეობების დაცვა-შენარჩუნებას, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, ინვაზიური სახეობების კონტროლს, აღდგენისა და რესტავრაციის ღონისძიებებს, კვლევითი პროგრამების მომზადებას, ტრეინინგებს და სწავლება-კონსულტირებას.

6. თესლის გაცვლითი ფონდი - ადგილობრივი ფლორისა და ბოტანიკურ ბაღებში აპრობირებული მცენარეთა კოლექციის გაცვლის მექანიზმი, ველურ ბუნებაში და ადგილზე შეგროვებული მცენარეთა თესლების საშუალებით.

7. ცოცხალ მცენარეთა კოლექცია - „ბოტანიკური ბაღის“ ტერიტორიაზე ღია და დახურულ გრუნტში განთავსებული ხე-მცენარეები და ბუჩქები, რომლებიც დოკუმენტირებულია (გააჩნიათ საინვენტარიზაციო ნომრები და სათანადო პასპორტი) და აღრიცხულია ან/და ექვემდებარება აღრიცხვას ბაღის ფიტო და გეო მონაცემთა ერთიან ბაზაში.

8. სარგავი მასალა - ერთწლოვანი და მრავალწლოვანი მცენარეები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ბაღის მცენარეთა კოლექციას და წარმოადგენენ ბაღის განკარგვის ობიექტს.

9. საშეშე მერქანი - ხე-ტყის დამზადების შედეგად, მათ შორის ძირნაყარი ხე-ტყისგან მიღებული ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი ან წვრილი ბოლოდან არაუმეტეს 12 სანტიმეტრის დიამეტრის მქონე მერქნული რესურსი.

10. ფიტოგეოგრაფიული განყოფილება - „ბოტანიკური ბაღის" ტერიტორიული ერთეული, სადაც მცენარეთა კოლექცია თავმოყრილია თავისი წარმოშობის ადგილის, სამშობლოს, გავრცელების გეოგრაფიული არეალის მიხედვით.

11. ჰერბარიუმის ფონდი - სპეციალურად შეგროვებული და გამომშრალი მცენარეების ან მცენარის ცალკეულ ორგანოთა (ფესვი, ღერო,ყვავილი, ნაყოფი, თესლი) დოკუმენტირებული კოლექცია.

12. BGCI - ბოტანიკურ ბაღებში მცენარეთა კონსერვაციის საერთაშორისო საბჭო (ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო, წევრობაზე ორიენტირებული ორგანიზაცია).

13. „exsitu" კონსერვაცია - ცოცხალი ორგანიზმის ნიმუშების კონსერვაცია და შენარჩუნება მათი ბუნებრივი ჰაბიტატის გარეთ, მთლიანი მცენარის, თესლის, მტვერის, ვეგეტატიური ორგანოების, ქსოვილის ან უჯრედის კულტურის სახით.

14. „insitu" კონსერვაცია - გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა ბიოლოგიური სახეობების დაცვა ბუნებრივ პირობებში.

15. ზოოპარკი - ობიექტი, სადაც ცხოველები განთავსებულია გამრავლებისათვის ხელსაყრელ შემოღობილ (შემოხუზნულ) პირობებში და წარმოდგენილია საერთო სანახაობისათვის.

16. ეთოლოგი - ზოოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ცხოველთა ქცევას.

მუხლი 3. „ბოტანიკური ბაღის" სტატუსი

1. „ბოტანიკური ბაღი" წარმოადგენს წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობას კოორდინაციას უწევს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი.

2. „ბოტანიკური ბაღი" წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გააჩნია ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ეგიდით 1912 წელს დაარსებული ბოტანიკური ბაღისა და მის შემდგომ ბათუმის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული, დოკუმენტირებულ მცენარეთა კოლექცია სამეცნიერო, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, ტურისტული და ეკონომიკური მიზნებისათვის.

3. „ბოტანიკური ბაღი" თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო კონვენციების, ბოტანიკურ ბაღებში მცენარეთა კონსერვაციის საერთაშორისო საბჭოს (BGCI) გლობალური სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების, საკუთარი წესდების შესაბამისად.

4. „ბოტანიკური ბაღი" უფლებამოსილია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გახდეს საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი;

ბ) როგორც „ბოტანიკური ბაღი" თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის მიერ გარემოს დაცვის სფეროში საერთაშორისო კონვენციებით აღებული ვალდებულებების შესრულებაში და საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში.

გ) თავისი მიზნების გათვალისწინებით გააფორმოს თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტები სხვა ბოტანიკურ ბაღებთან და ორგანიზაციებთან;

5. „ბოტანიკურ ბაღს" აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი, (შიდაუწყებრივი ბეჭდები და შტამპები), სიმბოლიკა და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

6. „ბოტანიკური ბაღი" უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები, დადოს გარიგებები, თავისი ინტერესების დასაცავად საკუთარი სახელით გამოვიდეს მოსარჩელედ ან/და მოპასუხედ საერთო და საარბიტრაჟო სასამართლოში.

7. „ბოტანიკური ბაღი" თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს მის საკუთრებაში არსებული ქონების ფარგლებში.

8. „ბოტანიკური ბაღი“ ზრუნავს მასზე გადაცემული მუნიციპალური ტერიტორიის კეთილმოწყობაზე, მოვლა-პატრონობასა და განვითარებაზე.

9. ახორციელებს შესყიდვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. „ბოტანიკური ბაღი“ დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.

11. „ბოტანიკური ბაღის“ უფლებაუნარიანობა იწყება მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება ლიკვიდაციის ფაქტის, კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციის მომენტიდან.

12. „ბოტანიკური ბაღი“ უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო და წესდებით გაუთვალისწინებელ სხვა საქმიანობას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებისა.

13. კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში „ბოტანიკური ბაღი“ ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე, რომელიც ახორციელებს დამფუძნებლის უფლებამოსილებებს.

თავი II. საქმიანობის საგანი

მუხლი 4. „ბოტანიკური ბაღის“ მიზნები და ამოცანები

1. „ბოტანიკური ბაღი“ – ბოტანიკურ ბაღებში მცენარეთა კონსერვაციის საერთაშორისო საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებით მიეკუთვნება „კლასიკურ“ მრავალმიზნობრივი „ბოტანიკური ბაღის“ ტიპს და მოიცავს საქმიანობის ფართო სფეროს.

2. „ბოტანიკური ბაღის“ საქმიანობის მიზნებია:

ა) „ბოტანიკური ბაღის“, როგორც მსოფლიო ფლორის კოლექციების და ფაუნის წარმომადგენლების მოვლა, მუდმივი ზრუნვა, გაფრთხილება, განვითარება-გამრავალფეროვნება და დაცვა;

ბ) „ბოტანიკური ბაღის“ მართვის, სარგებლობის, განვითარებისა და დაცვის ეფექტური სისტემის შექმნა და დანერგვა;

გ) არსებული ინფრასტრუქტურის, მატერიალური ბაზის გაფართოება და ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა;

დ) სამხრეთ კოლხეთის ველური ფლორის მრავალფეროვნების მეცნიერული შესწავლა, ჰაბიტატებისა და პოპულაციების მდგომარეობის ბუნებაში შეფასება და მონიტორინგი, მათ შორის, განადგურების საფრთხის წინაშე მდგარი (ფლორის ნაირ) სახეობების შენარჩუნებისათვის და დაცვა-კონსერვაციისათვის დასაბუთებული დასკვნების მომზადება, რეკომენდაციების შემუშავება და სათანადო ღონისძიებების განხორციელება;

ე) საზოგადოების, მათ შორის ახალგაზრდების, ბავშვების გარემოსდაცვითი და ბუნებისდაცვითი განათლების ხელშეწყობა, ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

ვ) ზღვისპირა ზოლის, ქალაქების, დასახლებული პუნქტების, ტყე-პარკებისა და სარეკრეაციო სივრცეების გამწვანება-მოწყობის ხელის შეწყობა;

ზ) „ბოტანიკური ბაღის“ სპეციფიკიდან და ინტერესებიდან გამომდინარე ურთიერთობების განმტკიცება მეცნიერ-მკვლევარებსა და სამეცნიერო ჯგუფებთან, სხვადასხვა ორგანიზაციებთან;

თ) ქვეყნის შესაბამისი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესისათვის ხელის შეწყობა;

ი) დაინტერესებული პირებისა და მოსახლეობისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა „ბოტანიკური ბაღის“ საქმიანობასა და კომპეტენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

კ) ტურისტული მომსახურებისათვის(მათ შორის სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ეკო და სათავგადასავლო) თანაბრად ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურის განვითარება;

ლ) სეზონური გამწვანებისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარება და მისი განხორციელების ხელშეწყობა.

3. ზოოპარკის საქმიანობის მიზნებია:

ა) მოსახლეობის კულტურული და ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება;

ბ) სამეცნიერო და საგანმანათლებლო-შემეცნებითი საქმიანობის ხელშეწყობა;

გ) ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

დ) ცხოველთა ფაქტობრივი კოლექციების შენახვა, ასევე, იშვიათი, ეგზოტური და ადგილობრივი ცხოველთა სახეობების ექსპოზიციების შექმნა, მოქმედი კოლექციების შევსება შიგასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ხელშეკრულებების ბაზაზე;

ე) ქრობადი, იშვიათი და კანონით საქართველოს „წითელინუსხისა" და „წითელიწიგნის" შესახებ და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირით (IUCN) დაცული სახეობების შენარჩუნება და კვლავ წარმოება ხელოვნურ პირობებში;

ვ) რეგიონის ველური ფაუნის შესწავლაში ხელშეწყობა;

ზ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, მიმართული ცხოველთა გამრავლების სამეცნიერო საფუძვლების შემუშავებისადმი როგორც ხელოვნურ, ასევე ველური ბუნების პირობებში;

თ) სასწავლო-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა ეკოლოგიის, ბუნების დაცვის, ეთოლოგიის, სამონადირეო და მეცხოველეობის მიმართულებით, ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო ცოდნის გავრცელება;

ი) ცხოველთა რეალიზაცია და ზოოპარკებს შორის როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

4. „ბოტანიკური ბაღის" ამოცანაა:

ა) შეინარჩუნოს და გააფართოოს არსებული ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოს მატერიალური ბაზის ეფექტური გამოყენება, სისტემატურად აწარმოოს მცენარეთა კოლექციის გაზრდა-შენარჩუნებასთან დაკავშირებული სამუშაოები, მცენარეთა აღწერა და სისტემატიკური დამუშავება, ცალკეული ოჯახების, გვარების და სახეობების ბიოეკოლოგიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების შესწავლის შედეგად გამოავლინოს ახალი სასარგებლო მცენარეები, ხელი შეუწყოს ზღვისპირა ზოლის, ქალაქებისა და დასასვენებელი ობიექტების გამწვანების, ტყე-პარკების მოწყობის, სასოფლო-სამეურნეო და ტყის კულტურების გაუმჯობესებული და მაღალდეკორატიული მცენარეთა ჯიშების დანერგვის სამუშაოთა გაფართოებას;

ბ) ჩაერთოს მცენარეთა კონსერვაციის გლობალურ და რეგიონალურ პროგრამებში, გაატაროს ღონისძიებები საერთაშორისო ვალდებულებებისა და ბიომრავლფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგიების განხორციელებისათვის;

გ) მონაწილეობა მიიღოს სახეობრივი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების და „insitu" და" exsitu" კონსერვაციის პროგრამებში, მათ შორის, სახეობათა რიცხობრივი აღდგენის პროგრამებში, აბორიგენული სახეობების გავრცელების ძირითადი ჰაბიტატების აღდგენაში, ინვაზიური სახეობების გავრცელებაზე კონტროლის, მცენარეთა პოპულაციებისა და ეკოსისტემების რაციონალური გამოყენების საქმეში;

დ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს გლობალურად დაცული მცენარეთა იშვიათი და ქრობადი სახეობების ბუნებრივი რესურსების შიდა და გარე ვაჭრობის კონტროლში CITES-ის კონვენციის შესაბამისად, რათა მომავალში საფრთხე არ შეექმნას აბორიგენული ფლორის სახეობების მრავალფეროვნებას;

ე) მონაწილეობა მიიღოს ტყის, სოფლის მეურნეობისა და მიწის რესურსების რაციონალური სარგებლობისა და დაცვის მეცნიერული მეთოდების და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში;

ვ) მცენარეთა მავნებელ-დაავადებების თავიდან აცილების მიზნით მოახდინოს მათი დროული იდენტიფიცირება, შეისწავლოს გავრცელების თავისებურებები და შეიმუშაოს ბრძოლის უსაფრთხო ღონისძიებები;

ზ) შეიმუშაოს და განახორციელოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამები;

თ) მუდმივად იზრუნოს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და კადრების სათანადოდ მომზადების მიმართულებით, შექმნას გარემო-პირობები ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის თვალსაზრისით;

ი) შექმნას ეფექტური მექანიზმები დამხმარე სამეწარმეო საქმიანობისათვის, მათ შორის ტურიზმისა და მარკეტინგის მიმართულებით;

კ) „ბოტანიკური ბაღის“ მიზნებისა და ფუნქციების გათვალისწინებით, კომპეტენციის ფარგლებში, შეასრულოს მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმების და სტრატეგიების დოკუმენტებით განსაზღვრული ღონისძიებები;

ლ) განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

5. ზოოპარკის ამოცანაა:

ა) ცხოველთა ველური სახეობების კვლავწარმოება ეკოლოგიურად დასაბუთებული გენოფონდის შენარჩუნების მიზნით;

ბ) ცხოველთა ველური სახეობების გენოფონდის შენარჩუნებაზე ხელშეწყობა ეკოლოგიურად დასაბუთებული კვლავწარმოებით და ცხოველთა იშვიათი სახეობების პოპულაციების ხელოვნურ პირობებში შენახვის საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობით;

გ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში დაობლებული და კონფისცირებული ცხოველების შეფარება;

დ) საექსპოზიციო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური ფორმების დანერგვა და გამოყენება;

ე) დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ცხოველთა ველური სახეობების ხელოვნურ პირობებში შენახვის სამეცნიერო საფუძვლების შემუშავებისათვის, ბუნებრივ პირობებში ცხოველთა ველური სახეობების ბიოლოგიის შესწავლისათვის ექსპედიციების განხორციელების, ზოოპარკის საქმიანობის ამსახველი სამეცნიერო პუბლიკაციების, მეგზურების, საინფორმაციო მასალების, სამახსოვროების, აფიშების, პლაკატების, ფოტოალბომების და ა.შ. მომზადების მიზნით;

ვ) სამკურნალო და ვეტერინარული საქმიანობის წარმართვა;

ზ) ზოოპარკის ბაზაზე ზოოლოგიის სწავლების და ცხოველებთან ურთიერთობის პრაქტიკული საქმიანობის და უნარ-ჩვევების დაუფლების ხელშეწყობა;

თ) საექსპოზიციო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფა, ველურ ცხოველთა ბიოლოგიის და პათოლოგიის წარმატებული გამოცდილებების გაზიარება და დანერგვა;

ი) ველურ ცხოველთა ხელოვნურ პირობებში შენახვის და მოვლა-პატრონობისათვის ტექნიკური უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დაცვის წარმატებული გამოცდილებების გაზიარება და დანერგვა;

კ) ზოოპარკის დამთვალიერებელთა დასვენებისათვის მომსახურების სხვადასხვა ფორმების წარმატებული გამოცდილებების გაზიარება და დანერგვა;

ლ) ზოოპარკის ქონების დაცვის ეფექტური ღონისძიებების განხორციელება;

მ) ზოოპარკის ეფექტური ფუნქციონირებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის (შენობა-ნაგებობები, ელექტრო და წყალმომარაგების სისტემები) შექმნა და საჭიროებისამებრ სრულყოფა.

მუხლი 5. „ბოტანიკური ბაღის“ უფლებები და ვალდებულებები

1.„ბოტანიკურ ბაღს“ დაკისრებული ვალდებულებებისა და ამოცანების განსახორციელებლად უფლება აქვს:

ა) აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს გარიგებები, აგრეთვე, განახორციელოს სხვა იურიდიული ქმედებები, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებთან, მათ შორის, დაამყაროს ურთიერთობები სხვა ქვეყნების იურიდიულ, თუ ფიზიკურ პირებთან;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს დამხმარე სახის სამეწარმეო საქმიანობა, ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მოახმაროს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მუშაკთა სოციალურ დაცვას, შრომის ეკონომიკურ სტიმულირებას, აგრეთვე დაწესებულების წესდებით გათვალისწინებულ სხვა მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას;

გ) დაამყაროს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრული საშტატო განრიგის შესაბამისად;

დ) შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირების თანამდებობრივი სარგო განსაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული სარგოს ოდენობის შესაბამისად;

ე) განსაზღვროს დაწესებულების ხარჯთაღრიცხვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

2. „ბოტანიკური ბაღი" ვალდებულია:

ა) წარმართოს თავისი საქმიანობა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად;

ბ) წარმართოს შრომითი (მათ შორის სახელშეკრულებო) ურთიერთობები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

თავი III. „ბოტანიკური ბაღის" მართვა და კომპეტენცია

მუხლი 6. „ბოტანიკური ბაღის" მართვა

1. „ბოტანიკური ბაღის" მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდების შესაბამისად.

2. „ბოტანიკურ ბაღს" ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ერთპიროვნულად ეკისრება დაწესებულების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

3. „ბოტანიკური ბაღის" დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

4. დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება ერთი სამეურნეო წლის ვადით, რომელიც მოიცავს წლის დასაწყისიდან - 1 იანვრიდან წლის დასასრულამდე - 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს (კალენდარული წელი).

5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია ვადაზე ადრე გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან ან გაუგრძელოს უფლებამოსილების ვადა ერთი სამეურნეო წლით.

6. „ბოტანიკური ბაღის" საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

მუხლი 7. „ბოტანიკური ბაღის" დირექტორი

1. დირექტორი, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს დაწესებულების საქმიანობას, მოქმედებს დაწესებულების სახელით და სპეციალური მინდობილობის გარეშე წარმოადგენს მას მესამე პირთან ურთიერთობაში;

2. „ბოტანიკური ბაღის" საქმიანობიდან გამომდინარე დირექტორი გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად.

3. გადაწყვეტილების მიღებისა და კონსულტაციის მიზნით, დირექტორი უფლებამოსილია შექმნას სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობასაც თვითონ ამტკიცებს.

4. დირექტორის უფლებამოსილებებია:

ა) იმოქმედოს „ბოტანიკური ბაღის" სახელით, წარმოადგინოს ის მესამე პირებთან ურთიერთობებში;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისათვის, დირექტორი ხელს აწერს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ და სხვა დოკუმენტებს;

გ) პერსონალურად პასუხისმგებელია ამ წესდებისა და დაწესებულების საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების შესრულებაზე;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ბაღის საქმინობის ცალკეული სფეროს ეფექტური მართვის განხორციელების მიზნით ამტკიცებს შინაგანაწესს, დებულებებს, წესებს, ინსტრუქციებსა და ღონისძიებათა კალენდარს;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს ბაღის შიდა ტერიტორიული მოწყობის (დაყოფის), სახელდებისა და ნუმერაციის თაობაზე;

ვ) „ბოტანიკური ბაღის" ბიუჯეტისა და მუნიციპალური პროგრამის გათვალისწინებით ამტკიცებს შიდა სამუშაო წლიურ პროგრამებს;

ზ) გასცემს ბოტანიკური ბაღის ეფექტური ფუნქციონირებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელ ზეპირ მითითებებს და ბრძანებებს;

თ) შეიმუშავებს ბოტანიკური ბაღის საშტატო განრიგს და დასამტკიცებლად წარუდგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს ბაღში სხვადასხვა მომსახურებებისა და ბაღის დათვალიერების ტარიფებს;

კ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ადგენს ბაღში წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ფასებს;

ლ) უფლებამოსილია დასახული მიზნების მისაღწევად დაამყაროს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრული საშტატო განრიგის შესაბამისად და ამ მიზნით საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს (დებს ხელშეკრულებებს) და თანამდებობიდან ათავისუფლებს დაწესებულების თანამშრომლებს;

მ) ანაწილებს ფუნქციებს დაწესებულების თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს დაწესებულების ზედამხედველობას თანამშრომლების საქმიანობაზე, მართავს თათბირებს, პერიოდულად ისმენს ანგარიშს თანამშრომელთა საქმიანობის შედეგების თაობაზე, დაწესებულების სახელით სამოქმედოდ გასცემს მინდობილობას დაწესებულების თანამშრომლებსა და სხვა პირებზე;

ნ) უფლებამოსილია დაწესებულების სახელით გახსნას და დახუროს საბანკო ანგარიშები, დადოს ხელშეკრულებები (შეთანხმებები) ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ო) სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად ადგენს მატერიალურ ფასეულობებზე, შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ და შრომით დისციპლინაზე პასუხისმგებელ პირთა წრეს;

პ) ბოტანიკური ბაღის ინტერესებიდან გამომდინარე, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით იწვევს სხვა საჭირო პირებს;

ჟ) საჭიროების შემთხვევაში ქმნის დროებით კომისიებს და აღჭურვავს მათ შესაბამისი უფლებამოსილებით;

რ) სამსახურებრივი მივლინების ან შვებულების დროს განსაზღვრული ვადით ერთ-ერთ თანამშრომელს დააკისროს დირექტორის მოვალეობის შესრულება;

ს) კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამშრომლებზე გასცეს ფულადი პრემიები, წახალისებები, ერთჯერადი სოციალური ხასითის ფულადი დახმარებები, საჩუქრები, სიგელები და სხვა;

ტ) კანონმდებლობითა და შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში დააკისროს თანამშრომლებს დისციპლინარული, ადმინისტრაციული და მატერიალურ-ფინანსური სანქციები;

უ) მიანიჭოს „ბოტანიკური ბაღის" წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები თანამშრომლებს ან/და მესამე პირებს;

ფ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს „ბოტანიკური ბაღის" ხარჯთაღრიცხვას;

ქ) ადგენს და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების ბალანსს;

ღ) ამტკიცებს დაწესებულების თანამშრომელთა შვებულებაში გასვლის განრიგს;

ყ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს არანაკლებ წელიწადში ერთხელ წარუდგენს დაწესებულების ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;

შ) ანგარიშვალდებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე;

ჩ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს დაწესებულების წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ პროექტს, წინადადებებს დაწესებულების საქმიანობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ;

ც) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს და პასუხისმგებელია ბოტანიკური ბაღის ფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ქონების) გამოყენებაზე;

ძ) იღებს გადაწყვეტილებებს „ბოტანიკური ბაღის" ტერიტორიაზე გარკვეული შეზღუდვების, აკრძალვებისა და გადაადგილების შესახებ;

წ) სტიქიური შემთხვევების, უამინდობისა და სხვა ფორსმაჟორულ ვითარებაში ან/და მასშტაბური სანიტარიული დასუფთავების აუცილებლობის, ან სამშენებლო სამუშაოებზე უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებებს დამთვალიერებელთათვის ბაღის სრული ან ნაწილობრივი დახურვის შესახებ, რაზედაც დაუყოვნებლივ აცნობებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს;

ჭ) „ბოტანიკური ბაღის" ადმინისტრაციული და ძირითადი პერსონალისგან ან/და მოწვეული სპეციალისტებისაგან შემდგარი სამუშო ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით ამტკიცებს ბოტანიკური ბაღის ლოგოს და სხვა უწყებრივ სიმბოლიკას;

ხ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით აუკრძალავ სხვა უფლებამოსილებებს.

5. დირექტორს უფლება არ აქვს გამოიტანოს ნაღდი ფული საზოგადოების საბანკო ანგარიშ(ებ)იდან.

6. დირექტორს უფლება არ აქვს საბანკო ოპერაციები (გადარიცხვები) აწარმოოს მთავარი ბუღალტერის ავტორიზაციის გარეშე. თუ საზოგადოებას არ ჰყავს მთავარი ბუღალტერი, მაშინ აღნიშნულ უფლებამოსილებას დირექტორთან ერთად ახორციელებს თანამშრომელი, რომელიც თანამდებობრივად პასუხისმგებელია საბუღალტრო აღრიცხვაზე.

7. დირექტორი ვალდებულია ყოველთვიურად (პირველ დეკადაში) დამფუძნებელ პარტნიორს წარუდგინოს ამონაწერ(ებ)ი საწარმოს საბანკო ანგარიშ(ებ)იდან მიმდინარე თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით.

8. დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, სათანადო წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადების მიზნით, დირექტორი უფლებამოსილია შექმნას სათათბირო ჯგუფები, კომისიები და უხელმძღვანელოს მას.

თავი IV. სტრუქტურა

მუხლი 8. „ბოტანიკური ბაღის" სტრუქტურა:

1. „ბოტანიკური ბაღის" სტრუქტურა, სტრუქტურაში შემავალი თანამშრომლების რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად.

2. „ბოტანიკურ ბაღში" დასაქმებულ თანამშრომლეთა უფლებამოსილებები (თანამდებობრივი ინსტრუქციები) „ბოტანიკური ბაღის" ფუნქციებიდან გამომდინარე განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

თავი V. ბოტანიკური ბაღის ქონება და ფინანსები

მუხლი 9. ქონება

1. „ბოტანიკური ბაღი" ფლობს და განკარგავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მისთვის გადაცემულ და მის მიერ შეძენილ ქონებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. „ბოტანიკური ბაღის" საკუთრებას წარმოადგენს მისი საქმიანობის შედეგად შეძენილი ქონება, ასევე მისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება და ფულადი სახსრები. „ბოტანიკური ბაღი" ვალდებულია საკუთარი ფულადი სახსრებიდან გადაიხადოს ყველა ის ხარჯი, რაც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან, მათ შორის საბიუჯეტო გადახდები.

3. „ბოტანიკური ბაღი" ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობისა და დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოს ძირითადი მოძრავი, უძრავი მატერიალური ფასეულებების აღრიცხვიანობა.

4. „ბოტანიკური ბაღი“ ვალდებულია უზრუნველყოს სარგებლობაში გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობა, მათ შორის იმ უძრავი ქონებისა, რომელიც წარმოდგენილია აბორიგენულ და ეგზოტიკურ მცენარეთა დოკუმენტირებული კოლექციის სახით.

5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით „ბოტანიკური ბაღი“ უფლებამოსილია უსასყიდლოდ გასცეს მცენარეთა სარგავი მასალა გამწვანების, ეკო და გარემოსდაცვითი ღონისძიებების ფარგლებში. ასევე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით სოციალურად დაუცველ ოჯახებზე გასცეს ნამეტი საშეშე მერქანი, რომელიც დამზადებულია „ბოტანიკური ბაღის“ ტერიტორიაზე დადგენილი წესის დაცვით.

მუხლი 10. ფინანსები

1. „ბოტანიკური ბაღის“ დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტებით მიღებული სახსრები;

გ) საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილი სახსრები;

დ) საქველმოქმედო სახსრები;

ე) შემოწირულობები;

ვ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები;

ზ) საკუთარი სამეურნეო შემოსავლები;

თ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობით მიღებული სახსრები;

ი) საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა წყაროები.

2. „ბოტანიკური ბაღი“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახდენს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებას, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს შესაბამის ორგანოებს და დაწესებულებებს.

3. „ბოტანიკური ბაღის“ ნებისმიერი შემოსავალი უნდა მოხმარდეს მხოლოდ დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. დაწესებულების სახსრების სხვაგვარად გამოყენება დაუშვებელია.

მუხლი 11. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. „ბოტანიკურ ბაღს“ შეუძლია დამფუძნებლის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაცემული ქონების გასხვისება;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაცემული ქონების იჯარით გაცემა;

დ) სესხის აღება;

ე) თავდებობა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებები სამსახურის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

თავი VI. საქმიანობის კონტროლი

მუხლი 12. „ბოტანიკური ბაღის“ საქმიანობის კონტროლი

1. „ბოტანიკური ბაღის" საქმიანობის კონტროლს ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ორგანოები.

2. „ბოტანიკური ბაღის" საქმიანობის კონტროლი მოიცავს „ბოტანიკური ბაღის" მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. „ბოტანიკური ბაღის“ დირექტორი საჭიროებისამებრ, დადგენილი წესით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესახებ.

4. „ბოტანიკური ბაღის" საქმიანობის შესამოწმებლად, საჭიროების შემთხვევაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ორგანოები ნიშნავს აუდიტორს.

5. „ბოტანიკური ბაღის" საქმიანობის კონტროლთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავიVII. წესდებაში ცვლილებები და დამატებები

მუხლი 13. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

„ბოტანიკური ბაღის“ წესდებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავიVIII. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 14. „ბოტანიკური ბაღის“ რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. „ბოტანიკური ბაღის" რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. „ბოტანიკური ბაღის“ ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.